



ერთსულთნება

საზოგადოების უფლებებისათვის

№1 19-26 დეკემბერი 2012

დამოუკიდებელი გაზეთი

დაწყებულია და ბრძედება ხელმოწერები კრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით!

2013 წლის 4 იანვარს, 13 საათზე, ავლაბარში კრეზიდენტის რეზიდენციასთან ვიკრიბებით!

დაე, აღსრულდეს ხალხის ნება!

სააკაშვილს არ მივცემთ საქართველოს და ქართველი ხალხის ბანადგურების საშუალებას!



რეჟისორ რეზო ჩხეიძის განცხადებით, ყველა ნაბიჯი, რაც კი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აქამდე გადადგა, საქართველოს სოციალურ და სულიერ მდგომარეობაზე დარტმისთვის იყო მიზანმიმართული და წარმოუდგენელია, რომ დღემდე საქართველოს ყოვლად გაუმართლებელი გონების და მონაცემების ადამიანი მართავს და ქვეყნის სათავეში დგას.


დაექვეითებინა, რათა ადვილად ემართა. ყველა ის ნაბიჯი, რაც აქამდე მისი ხელმძღვანელობით გადაიდგა, არის დარტყმა არა მარტო საქართველოს სოციალურ მდგომარეობაზე, არამედ საქართველოს სულიერებაზეც. საქართველოს მართვა ადვილია, როცა მას დავით აღმაშენებელს, შოთა რუსთაველს, თამარ მეფეს წაართმევ, რადგან აღარაფერი დაგრჩება ხელში. პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა და რაც ქართველმა ხალხმა და მათ შორის, ვერც მე გავიგე, გახლდათ ის, რომ სააკაშვილმა ერთ ღამეს მალულად, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან გაიტანა. მეგონა, მერაბ ბერძენიშვილს მის უკეთეს ადგილას გადატანა უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბერძენიშვილი საქმის კურსში არ იყო და მისთვის არც კი შეუტყობინებიათ. ამას მოჰყვა ქუთაისის ცენტრიდან დავით აღმაშენებლის ძეგლის ვაგზლის ტერიტორიაზე გადატანა. დიდგორის ომის მომგები და „გალობა სინანულისანი“ ავტორი დავით აღმაშენებელი მიხეილ სააკაშვილს ქალაქის ცენტრში არ უნდოდა, არ უნდოდა იმიტომ, რომ მასზე თაობები იზრდებოდა.

სააკაშვილმა გაავლო რუსთაველის თეატრიდან რობერტ სტურუა, დახურა ფსიქოლოგიის, ლიტერატურის ინსტიტუტები, სპორტის აკადემია. რამდენი სოციალური პრობლემა გააჩნია დღეს ქართულ საზოგადოებას, როგორ დაქვეითებულია დღეს პენსიები, ხელფასები და სოციალური თუ სამედიცინო დახმარებები, რაიმე დარგში თუ წაინია საქართველომ წინ? სიკვდილიანობაში და მიგრანტთა რაოდენობაში გვიჭირავს პირველი ადგილი. სამაგიეროდ, თბილისში და მთელ საქართველოში მიწებს ჩინელები და არაბები ყიდულობენ, არ ვართ ჩვენ იმხელა ქვეყანა, რომ ჩვენი მიწები ვყიდოთ. მაინტერესებს, რატომ დააქვეითა ასე ქართველი ხალხი სააკაშვილმა? რა დაუშვა მას? – კითხულობს რეჟისორი.

რეზო ჩხეიძის განცხადებით, სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ ამოცანას საქართველოს ამოძირკვა წარმოადგენს, რის უფლებასაც მათ ქართველი ხალხი არ მისცემს.

„არ მივცემთ ჩვენ მათ ამის უფლებას, არ მივცემთ იმის უფლებას, რომ ქართული კულტურა და ხელოვნება გაანადგურონ და ქართველი ხალხი გაანადგურონ. სწორედ ამისთვის არის საჭირო ხელმონერების შეგროვება და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადაყენება“, – აცხადებს რეჟისორი.

რეზო ჩხეიძე, რეჟისორი



ტექსტს, რომელსაც გავეცანი, ვეთანხმები და დარწმუნებული ვარ დაეთანხმება ქართველი ერის საღად მოაზროვნე ნაწილიც.

სააკაშვილის გადადგომის აუცილებლობა მოყვანილი მაქვს არაერთ ინტერვიუში, რაც გამოქვეყნებულია პრესაში.

ჯაბუა ამირეჯიბი – ბერი
დავითი.
თბილისი,
11.11.2012 წელი

ბიბა ლორთქიფანიძე: პარალოქსია ის, რომ ოპოზიციას სათავეში საქართველოს მოქმედი კრეზიდენტი უდგას

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე საქართველოს მოსახლეობას მიმართავს და მოუწოდებს მთელ ერს შეუერთდეს საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმონერებს, რადგან მიაჩნია, რომ ადამიანმა, რომელმაც გაანადგურა ქართული კულტურა, ხელოვნება, თეატრი, მწერლობა, მუსიკა, უფლება არ აქვს საქართველოს პრეზიდენტად იწოდებოდეს.

„ძვირფასო მეგობრებო, ქართველებო! მოგმართავთ ყველას. უკვე შეუძლებელია იმის ატანა, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაიმარჯვა თავისუფლებამ, გაიმარჯვა ქართულმა აზროვნებამ. ადამიანები, რომელთაც ხელთ ეპყრათ ქვეყნის მართვის საქმე, კვლავ განაგრძობენ საშინელ პროპაგანდას და საშინელ პოლიტიკას. ისე ლაპარაკობენ დარღვევებზე, ვითომ თვითონ ანგელოზები იყვნენ და არაფერი დაშავებინათ.“

მოვიდა დრო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ არჩევნებში მოპარული ხმების 30%-ი გასწორდეს, მიშა სააკაშვილი აუცილებლად უნდა გადადგეს, რადგან მისი ატანა უკვე შეუძლებელია.

პარალოქსია ის, რომ ოპოზიციას სათავეში საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი უდგას. ამაზე სამარცხვინო ფორმის წარმოდგენა, ადამიანისთვის შეუძლებელია. სააკაშვილი უნდა გადადგეს იმიტომ, რომ ამოისუნთქოს ქართველმა ერმა. სააკაშვილმა გაანადგურა ყველაზე ძვირფასი რაც გაგვაჩნდა – ქართული კულტურა, თეატრი, კინო, მწერლობა, მუსიკა, რომელსაც დღეს სამარცხვინო მდგომარეობაშია, რადგან სააკაშვილი თვლიდა, რომ ამ ყველაფრის სპეციალისტი თვითონ გახლდათ და მხოლოდ მან იცოდა, როგორ უნდა განვითარებული ქართული კულტურა.

მოგიწოდებთ ყველას, ამოვიღოთ ხმა იმისთვის, რომ დაეცეს ტირანი, ადამიანი, რომელმაც გაანადგურა ქართველი ხალხი, ქართული კულტურა. ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს შეუდგეს თავისი კულტურის, მწერლობის, მეცნიერების მშენებლობას და განვითარებას, – აცხადებს გიგა ლორთქიფანიძე თავის მიმართავაში.



მეამორობა

ვაფიქსირებთ რა, საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის არაადეკვატურობას მის პოსტთან, წლების მანძილზე მისი და მისი გუნდის მიერ ჩადენილ მრავალ არაკონსტიტუციურ და დანაშაულებრივ ქმედებებს, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ქართველი ერი, შეარყია ქართული კულტურა და დაარღვია საქართველოს მთლიანობა და სახელმწიფოებრიობა, ცალსახად ვაცხადებთ და კატეგორიულად მოვითხოვთ:

დაუშვონებლივ გადადგომს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

აღნიშნულის მოთხოვნით დაწყებული ხელმოწერების შეგროვება გაგრძელდეს მთელი საქართველოს მასშტაბით, რისი ორგანიზებისა და განხორციელებისათვის ვერთიანდებით და თანაბრად ვინაწილებთ შესრულების პასუხისმგებლობას.

ერთიანების მემორანდუმი

(საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით)

ქ თბილისი 27 ნოემბერი 2012 წელი

ვაფიქსირებთ რა საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის არაადეკვატურობას მის პოსტთან, წლების მანძილზე მისი და მისი გუნდის მიერ ჩადენილ მრავალ არაკონსტიტუციურ და დანაშაულებრივ ქმედებებს, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ქართველი ერი, შეარყია ქართული კულტურა და დაარღვია საქართველოს მთლიანობა და სახელმწიფოებრიობა, ცალსახად ვაცხადებთ და კატეგორიულად მოვითხოვთ:

დაუშვონებლივ გადადგოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი!

აღნიშნული მოთხოვნით დაწყებული ხელმოწერების შეგროვება გაგრძელდეს მთელი საქართველოს მასშტაბით, რისი ორგანიზებისა და განხორციელებისათვის ვერთიანდებით და თანაბრად ვინაწილებთ შესრულების პასუხისმგებლობას.

№	ორგანიზაციის დასახელება	სახელი და გვარი	სტამბა
1.	"ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის"	მიხეილ ანდრეაძე	[სტამბა]
2.	საზოგადოება "ლაზარე"	რევაზ აბაშიძე	[სტამბა]
3.	საქართველოს უფროსობისთვის შემოქმედებითი კავშირი	გიორგი ურციკიანი	[სტამბა]
4.	საქართველოს იდეოლოგია ასოციაცია	ზაზა ხაჩიანი	[სტამბა]
5.	დამოუკიდებელი სტუდენტთა ასოციაცია	ალექსანდრე კოხიძე	[სტამბა]
6.	ფლანდრის და სხვა ომების მონაწილეთა კავშირი	ნეფხაი კახიანი	[სტამბა]
7.	ჩოხობის კავშირი	ანზორ ბაგრატიანი	[სტამბა]
8.	საქართველოს მწვერვალი მოძრაობა	ნინო ჩხეიძე	[სტამბა]
9.	ნოლიციტური ნაწილი თეთრი ფეხის მამაკაცი	თეიმურაზ მამიაშვილი	[სტამბა]
10.	უკრაინის დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ნიკოლოზ მუხომბე	[სტამბა]

№	ორგანიზაციის დასახელება	სახელი და გვარი	სტამბა
11.	მოძრაობა "სულიერი და ფიზიკური საქართველო"	თეიმურაზ კვარაცხელი	[სტამბა]
12.	საქართველოს ინტელიგენციის ასოციაცია	ვლადიმერ ჩხეიძე	[სტამბა]
13.	სტამბა-ინტელექტუალური ცენტრი	გიორგი აბაშიძე	[სტამბა]
14.	მ.შ.მ. ნინო ბონატიაძის ფედერაცია	ინაგო გიორგაძე	[სტამბა]
15.	უკრაინის დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ივანე ჩხეიძე	[სტამბა]
16.	მინიმალისტური მშობელი კავშირი	ვლადიმერ ტყეშელაშვილი	[სტამბა]
17.	მინიმალისტური საქართველოს საზოგადოება	ნინო მუხომბე	[სტამბა]
18.	საქართველოს უფროსობისთვის შემოქმედებითი კავშირი	ნიკოლოზ ჩხეიძე	[სტამბა]
19.	საქართველოს თავდაცვითი მოძრაობა და მათი თანამშრომელი ორგანიზაცია	მთა ჩხეიძე	[სტამბა]
20.	საქართველოს ომის, შრომის და საზოგადოებრივი მართლმადიდებელი კავშირი	ვიტა ჯიქია	[სტამბა]
21.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ანა მამიაშვილი	[სტამბა]
22.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ვლადიმერ იოსელიანი	[სტამბა]
23.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ნიკოლოზ ჩხეიძე	[სტამბა]
24.	საზოგადოებრივი ორგანიზაცია მშობელი მესხეთი	ამარ სამხიანი	[სტამბა]
25.	ონის მ-ნი, ეთნოლოგიის ცენტრი	მინია გომბე	[სტამბა]
26.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ვიტა მამიაშვილი	[სტამბა]
27.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ვიტა მამიაშვილი	[სტამბა]
28.	ქართული-ოსური მოძრაობა	ვიტა მამიაშვილი	[სტამბა]
29.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ვიტა მამიაშვილი	[სტამბა]
30.	საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის მხარდები	ვიტა მამიაშვილი	[სტამბა]

თ ა ნ ა მ მ ა მ ა მ უ ლ ე ნ ი !

მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით.

თქვენ შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ: რუსთაველის, დრამატული, გლდანის და სხვათა მეტროსტან. ასევე ორგანიზაციის ოფისში: პეკინის 34-ში. ან შეხვედეთ ორგანიზაციის საიტზე www.Ersaufle.ge და ელექტრონულად შეურთდეთ ხელმოწერებს.

გაერთიანების მემორანდუმში ერთიანდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც თანამონაწილეობენ და ხელს უწყობენ ხელმოწერების შეგროვების ორგანიზებას.

2013 წლის 4 იანვარს 13:00 სთ-ზე რაც შეიძლება მეტი ხელმოწერებით მიემართავთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და შესაბამისი პეტიციით მოვითხოვთ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას.

ქართველი ხალხის ასეთი ერთსულოვნება, მსოფლიო საზოგადოების თვალში შეუქმნეველი არ დარჩება და როგორი სამართლებრივი შირმაც არ უნდა აიფაროს სააკაშვილმა იგი ქართველი ერისთვის მიუღებელია და მას საქართველო მოცივდება თავიდან.

შექმნილია საორგანიზაციო შტაბი, რომელსაც ესაჭიროება თქვენი მხარდაჭერა. ასე რომ, მსურველებს შეუძლიათ, ნებისმიერი მოცულობის თანხა, შემოწირულობის სახით ჩარიცხონ ორგანიზაციის ანგარიშზე:

აიპ "ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის" ს/კ 404904010 ს.ს. "თბილისიანი" ა/ა 7თ 7530936080100001

ღმერთმა უშველოს ჩვენი საქართველოს!
მაგრამ უფლის ნება ჩვენი შესასრულებელია!
გისურვებთ წარმატებებს.

საკონტაქტო ტელეფონები: 2945542; 2306434; 577790488; 577414241; 5911614141;

ხელმოწერთა რაოდენობა უკვე 70.000 გადასცდა. მათ შორის არიან საზოგადოების ისეთი ბერძენები და კორეელები, როგორც: ჭაბუა ამირეჯიბი, გიგა ლორთქიფანიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, რეზო ამა-

შუკელი, ჯანო ბაგრატიანი, ნუგზარ ბაგრატიანი, რეზო ესაძე, გურამ ფირცხალავა, კახი კახაძე, გივი ბერიკაშვილი, ომარ მხეიძე, დევიდ ღვინჯილია, ინგო ავალიანი, თინათინ მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ მეგობერი, ანზორ მელია, დიმიტრი ჯაფარიანი, ჯემალ სეფაშვილი, ვაჟაფხა "ფორტე", რეზო მოძუაშვილი, მანუჩარ მანიაძე, სიმონ ბარქაია, იური მენიშვილი, ანზორ ბაბუხაძე, ნუგზარ კახიანი, ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, მიხეილ ჯიბუტი, დავით ანდრეაძე, ზურაბ ცინცილაძე, გუგუა ბურდული, ნინო ჩხეიძე, სასულიერო პირები და სხვანი.

გაფორმდა გაერთიანების მემორანდუმში, რომელსაც ხელი მოაწერეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორც: საზოგადოება "ლაზარე", საქართველოს უხუცესთა საბჭო, ჩოხობის კავშირი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი, საქართველოს ადვოკატთა კავშირი, დამოუკიდებელი სტუდენტთა ასოციაცია, ავღანეთისა და სხვა ომების მონაწილეთა კავშირი, საქართველოს მწვერვალი მოძრაობა, პოლიტიკური პარტია "თეთრები", უფლებადამცველთა გაერთიანება და ასევე კოალიცია, მოძრაობა "სულიერი და ზნეობრივი საქართველო", საქართველოს ინვალიდთა ასოციაცია, ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის, შ.შ.მ სპორტის ფედერაცია, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, წმინდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოება, საქართველოს თავდაცვითი მოძრაობა და მათ თანამშრომელი ორგანიზაცია, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი, ასოციაცია "ქალი, ბავშვი და სოციალიზმი", სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი, სრულიად საქართველოს მონარქისტული კავშირი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია "მშობლიური მესხეთი" და ეს ჯერ დასაწყისია.

ჩვენ ვთვლით, რომ ქვეყნისთვის უაღრესად საშიშია, პირდაპირ ვიტყვი, საგანგაშოა, როცა საქართველოს პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი თავს ოპოზიციად აცხადებს და უპირისპირდება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას და მთავრობას. მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის

მემორანდუმით გაერთიანებული 30 ორგანიზაციის სახელით საორგანიზაციო ჯგუფი პროტესტს იწყებს თბილისში, საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შერჩეული დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილიდან. სააკაშვილის რეჟიმმა აღმაშენებლის ძეგლს ხალხთან და ავტორთან შეუთანხმებლად, თვითნებურად ადგილი შეუცვალა.

სიმბოლურად პროტესტის ფორმა გაგრძელდება ქუთაისში. კერძოდ, 19 დეკემბერს, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს ვენგევით ქუთაისს. 19 დეკემბერი მართლაც ტრაგიკული დღეა. 3 წლის წინათ, ნიკოლოზობა დღეს ქუთაისში აფეთქებული იქნა „ქართულ ბიბლიად და ფილოსოფიურ ტრაქტატად“ შერაცხული მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის და არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილის ხელთქმნილი დიდების მემორიალი. აფეთქებას შეენირა უმანკო ბავშვისა და მისი დედის სიცოცხლე. სამწუხაროდ ამ ცოდვილ ადგილზე აგებულ იქნა საქართველოს პარლამენტის შენობა. აქცია შედგება 19 დეკემბერს, 14 საათზე, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც იდგა დიდების მემორიალი.

20 დეკემბერს შეხვედრებს გავმართავთ ქუთაისის ინტელიგენციასთან.

21 დეკემბერს მარტვილში, ჭყონდიდელის ადგილ-სამყოფელს ვესტუმრებით;

22 და 23 დეკემბერს საპროტესტო აქციები გაიმართება ზუგდიდსა და ფოთში.

24 დეკემბერს კი – ბათუმში.

ბათუმის შემდგომ შემაჯამებელი შეხვედრა შედგება თბილისში მერაბ ბერძენიშვილის ცენტრ „მუზაში“.

ქართველი ხალხის მიზანია, 2013 წლის 4 იანვარს დამთავრდეს საქართველოში მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო მოღვაწეობა. საქართველოს მოქალაქეების საპროტესტო მუხტი შედგეს გამოიღებს და სააკაშვილი ვეღარ შეძლებს თვითნებურად გაიხანგრძლივოს ვადა 2013 წლის ოქტომბრამდე.



არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთსულოვნება“ საზოგადოების უფლებებისთვის“ თავმჯდომარის მიხეილ ანდგულაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება თბილისში დაიწყო, თუმცა როგორც ტალღა, შემდგომ ისე გავრცელდა მთელ საქართველოში, ამ ხელმოწერების შეგროვებისას კი ქართველმა ხალხის საკუთარი ნება გამოხატა.

„საქართველოს კონსტიტუცია ისე უგვანოდ არის დასახინჩებული, რომ ქართველ ხალხს არ აქვს ნება, თავისი შეხედულებები სამართლებრივი კონტექსტით გამოხატოს. ის მოდელი, რაც საქართველოს კონსტიტუციაში არის მოცემული, არის საკმაოდ გრძელვადიანი და შედეგთან არაორიენტირებული. ჩვენი ხელმოწერებით ჩვენ ვქმნით მორალურ კონსტიტუციას, რომელიც ერთ დიდ წიგნად შეიკვრება, რომელსაც „ქართველი ერის ტრაქტატი უსამართლობის წინააღმდეგ“ დავრქმევთ და თითოეული ხელმოწერის შთამომავლობა, მისი წინაპრით იამაყებს. ხელმოწერების შეგროვებით, ჩვენ გვსურს მთელ მსოფლიოს დავანახოთ ქართველი ხალხის ნება, ხალხს უნდა შეეძლოს ნებისმიერ უსამართლობას საკუთარი ნება დაუპირისპიროს და ეს სამართლებრივად უნდა იყოს განსაზღვრული. ეს ასეა

მიხეილ ანდგულაძე: სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის გარეშე მთელ საქართველოს მოედო


განსაზღვრული ყველა ქვეყნის კონსტიტუციით. მეგორანდუმში გამოხატულია ქართველი ხალხის მხოლოდ ერთი მოთხოვნა-მიხეილ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, მიუღებელია ქართველი ერისთვის და ის კატეგორიულად ითხოვს მის დაუყოვნებლივ გადადგომას. მეგორანდუმში ეცნობება საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს, ყველა საელჩოს, ხოლო შეგროვებული ხელმოწერები და მიმართვა პირადად გაეგზავნება ყველა ქვეყნის მმართველს. ქართული საზოგადოება ხელმოწერების შეგროვებისას, საკუთარი ინიციატივით შემოგვიერთდა და რეგიონალური ორგანიზაციებიც დააფუძნა. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ახალციხის რეგიონალურ ორგანიზაციას თავისი ერის და ქვეყნის ასეთი სიყვარულისთვის, მინდა უღრმესი მადლობა მოვასხნო თითოეულ თქვენგანს გვერდში დგომისთვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენ რეგიონები გასვლა, ახალციხის უძველესი მინიდან, ქართველ მეფეთა დასახლები რეგიონიდან დაიწყო ჩვენი აქცია საქართველოს მასშტაბით“, – განაცხადა მიხეილ ანდგულაძემ ახალციხეში გამართულ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვების აქციაზე. ანდგულაძის განცხადებით, მთელი ქართველი ერი დღეს ფეხზე დგას სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, რადგან არ შეიძლება ქვეყანას ისეთი მთავარსარდალი ჰყავდეს, რომელიც ბრძოლის ველიდან გარბის. „საქართველოს ისტორიაში, ალბათ, ისეთი უარყოფითი პიროვნება და მმართველი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, არ გვეყოლია. როგორ შეიძლება სააკაშვილს ჰქონდეს მორალური უფლება, იყოს ქვეყნის მთავარსარდალი. ისტორიის მანძილზე ხელისუფლებებს ჰქონდათ შეცდომებიც და დანაშაულებიც, მაგრამ ქვეყნის მთავარსარდალი ბრძოლის ველიდან არ გაქვეყულა და სადღაც მანქანების ქვეშ არ

შემძვრალა და დამალულა. დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც 1 ოქტომბერს გაიმარჯვა ქართველმა ერმა და დააფიქსირა თავისი ნება, ასევე შეძლებს შემდგომ გამარჯვებასაც. მინდა ყველას მივმართო და ვუთხრა, რომ ნუ მიატოვებენ ქართველ ერს და მუდამ მის მაჯისცემაზე ედოთ ხელი. ახლა ქართველი ერის მაჯისცემა არ არსებობს და დასალაგებულია. ორხელისუფლებიანობა ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამება და დასავლეთის თვალში ჩვენს ქვეყანას და ხალხს სასაცილოდ ხდის. დასავლეთი ჩვენ გვიყურებს და გვეუბნება, ჩვენ მათ დონემდე მისვლა გვაკლია, არადა, ჩვენ დიდი ხანია მისულები ვართ მათ დონემდე, მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ კი არ მივიწინააფრებთ მათ, არამედ ისინი მოისწრაფიან ჩვენსკენ, ამიტომაც ქართველი ერი კიდევ ერთხელ დაადასტურებს ერთსულოვნებას“, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ. მიხეილ ანდგულაძის განცხადებით, სააკაშვილის გადადგომის ხელმოწერების აქციას ძალიან ბევრი საზოგადო მოღვაწე და ორგანიზაციები „ლაზარე“, საქართველოს ვეტერანთა, ავღანეთის კავშირები, ჟურნალისტთა და ადვოკატთა ასოციაციები შეუერთდა და კიდევ მრავალი ორგანიზაციები აპირებენ შეერთებას. ანდგულაძის განცხადებით, საზოგადოებამ ნ დეკემბერს პრეზიდენტის სასახლის წინ გამაფრთხილებელი აქცია გამართა და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გააფრთხილა, რომ ქართველი ხალხი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას განაგრძობს და სააკაშვილს გადადგომა ურჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი საქართველო ქუჩაში გამოვა და ყველას დაანახებს ქართველი ხალხის ნებას. „დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ბოლო აკორდი და საქართველო ამ უნამუსო ადამიანს ერთხელ და სამუდამოდ მოიცლივს!“ – განაცხადა მიხეილ ანდგულაძემ.

ჯანო ბაგრატიონი: სააკაშვილს ვაშკაცობა უნდა ეყოს კრეზიდენტობიდან გადაღმს



ხელოვანი ჯანო ბაგრატიონი უერთდება სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით შეგროვებულ გრძელ სიას და აცხადებს, რომ რაც შეიძლება მეტი ხელმოწერა უნდა შეგროვდეს ქვეყანაში, რათა ერთხელ და სამუდამო მოხდეს ქვეყნის დალაგება და დამშვიდება, რაც მხოლოდ სააკაშვილის გადადგომის შემდეგაა შესაძლებელი. „ჩვენს ქვეყანას ეშველა და გამოჩნდა კაცი, ქვეყნის სიყვარულით დახუნძლული. ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში სიკეთეს აკეთებდა არა ბიუჯეტისა და ადგილი ფულით, არამედ საკუთარი სახსრებით. მისი ქველმოქმედების და სიკეთის კეთების დამგვირგვინებელი ის სამეხის ტაძარია, რომელიც მთიდან გადმოგვყურებს და თუკი ვინმეს უნდა დაენახა ივანიშვილის მიერ ქვეყნისთვის სიკეთის გაკეთება, პრეზიდენტი სააკაშვილი გახლდათ. მიხეილ სააკაშვილმა უნდა შეიგნოს, რომ სანამ ის თავის ადგილზე რჩება, ქვეყანაში ხელისუფლების ხვეწვითი გადაბარება ვერ მოხდება, მას უნდა ეყოს ვაშკაცობა და თანამდებობა დატოვოს. მისი გადადგომა ქვეყანაში სიტუაციის დამშვიდებას, დალაგებას და გამთლიანობას შეუწყობს ხელს. რა არის ამისთანა ეს პრეზიდენტის სავარძელი, რომ დატოვება ასე რთულია?“, – აცხადებს ხელოვანი. ჯანო ბაგრატიონი სააკაშვილს მიმართავს და აცხადებს, რომ ქვეყანაში ალვირასნილობა, გაჭირვება და შიმშილი აუტანელი ხდება, პრეზიდენტი კი წლების განმავლობაში ყველაფერს სათავეს იღებდა და დროა, ამას ბოლო მოეღოს. „როდემდე შეიძლება თაქთაქიმებლმა ჭკუა გვასწავლოს, რომლის მოსმენა უკვე აღარავის შეუძლია? სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ ეს კაცი უნდა წავიდეს და შეგროვდეს რაც შეიძლება მეტი ხელმოწერა, რათა ყველამ დაინახოს, რომ სააკაშვილი წასასვლელია და წავიდეს“, – აცხადებს ბაგრატიონი.



ჰიტლერმა თავის არმიას ასე მიმართა: მე განთავისუფლებთ იმ ქიმერიისგან, რომელსაც სინდისი ჰქვია. სწორედ ამ ლოზუნგით მართავდა საქართველოს „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი, სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს მათგან ქვეყნის გათავისუფლება, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველა უნდა შევუერთდეთ ამ ხელმოწერებს.

მეთევან კიხნაძე, მსახიობი

rezo esaZe: Cven yvel a Rone vi xmar oT, rom SevqmaT Tavisuf al i qveyana da aRvzar doT Tavisuf al i qar Tvel ebi




რეჟისორ რეზო ესაძის განცხადებით, საქართველოში წინა ხელისუფლებამ იმდენად მტკივნეული სივრცე შექმნა, იმდენად სულსმემძვრელი, გოგონისამრევი და სატიკვარი აღმოჩნდა ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მორალური უფლება აღარ გააჩნიათ ხელისუფლებაში ყოფნის. „მინდა ჩემი ეს დამოკიდებულება ბატონ მინდია უგრეხელიძის სიტყვებით გამოვხატო, რომელიც თანხედრი აღმოჩნდა ჩემი შეფასებისა. „კოტე კუბლაშვილმა სასწრაფოდ დანერგოს განცხადება და გადადგეს თანამდებობიდან, თუ ეს არ მოხდა, მაშინ აუცილებლად დადგება მისი იმპიჩმენტის საკითხი. კოტე ჩემი კარგი სტუდენტი იყო, გერმანიაშიც კარგად სწავლობდა, მაგრამ ეს ყველაფერი რა ბედენაა, თუ შენ სისტემის მონად გადაიქციე? ვფიქრობ, მას არანაირი მორალური უფლება არ აქვს, თავის თანამდებობაზე იმყოფებოდეს, თუნდაც იმ ერთი განცხადების შემდეგ, რომელიც მან გააკეთა – მე მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის მომხრე ვარ! – ასეთი სათაურით

დაიბეჭდა მისი ინტერვიუ. თუ შენ ყოველთვის მკაცრი სამართლის მომხრე ხარ, მოსამართლე კი არა ჯალათი ხარ! ეს რომ ინგლისელ ან გერმანელ მოსამართლეს ეთქვა, ის თავის თანამდებობაზე არ იქნებოდა“, – აცხადებს ბატონი მინდია და კუბლაშვილს ურჩევს, რაც შეიძლება სწრაფად განერიდოს მართლმსაჯულების საჭეს. ბატონ მინდიას არ სურს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, მაგრამ აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ იურისტების სამართლებრივმა უმუშაობამ ცხადყო, რომ არა მარტო კოტე კუბლაშვილს, არამედ ხელისუფლების ჩინოვნიკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქვთ ჩადენილი დანაშაული. ბატონ მინდიას მიერ გაკეთებული ეს განცხადება იმდენად მრავლისმომცველია, რომ პოლიტიკოსი რომ ვიყო, მეტს არაფერს დავუმატებდი“, – აცხადებს რეჟისორი. რეზო ესაძის განცხადებით, თავისუფალი ქვეყანა, სხვა ქვეყნისგან ტერიტორიულად გათავისუფლებულ ქვეყანას არ ნიშნავს, თავისუფალი ქვეყანა ის არის, სადაც თავისუფალი ადამიანი იზრდება, ხოლო იმ ახალგაზრდების ქვეყნის სათავეში მოსვლა, რომელთაც არ ესმოდათ ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ, ქვეყნისთვის ტრაგედია აღმოჩნდა. „ჩვენ ჯერ თავისუფალი ადამიანები არ ვართ. ჩვენ ისეთი თავისუფალი ქვეყნის შექმნისთვის ვიბრძვით, სადაც გაიზრდება ჭკუმატი ქართველი, რომელიც ჭკუმატი მოქალაქე იქნება. არ შეიძლება არ დავფიქრებ იმაზე, რომ ეკლესიაში წესრიგს არავინ იცავს, მაგრამ იქ მაინც წესრიგია.

ადამიანი გამობიურავს თუ არა კარს ეკლისისას, ჰგონია და სწორადაც ჰგონია, რომ აქეთ სხვა ცხოვრებაა. ჩვენ ქართველებს მართლმადიდებლობა მანამდე გვქონდა სისხლში გამჯდარი, სანამ თვითონ მართლმადიდებლური ეკლესია ჩამოყალიბდებოდა. ის ახალგაზრდები კი, რომლებიც სააკაშვილთან ერთად ქვეყნის სათავეში მოვიდნენ, არ ესმოდათ ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ, ამას ზემოდან კიდევ ის პიროვნული ხასიათი დაემატა, რაზეც ბატონი უგრეხელიძე ნერდა, და ეს ქვეყნისთვის უკვე ტრაგედია აღმოჩნდა. შეიძლება ამ ტრაგედიის მომავალ ტრაგედიაში არ გადაზრდა, თუ გავიგებთ იმას, რომ მართლმადიდებლური რელიგიური კანონზომიერებები უნდა ვიმოქმედოთ.“ – აცხადებს რეჟისორი. რეზო ესაძის განცხადებით, როგორც კონსტიტუციითაა განსაზღვრული მიხეილ სააკაშვილს 5 იანვარს უმთვრდება საპრეზიდენტო ვადა, უნდა მოხდეს მისი გადადგომა ძალდატანების გარეშე. ორხელისუფლებიანობის გაგრძელება შეუძლებელია და ქართველმა ხალხმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ შექმნას თავისუფალი სივრცე. „ჯობს გვიან ვიდრე არასდროს! ჩვენ ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ შევქმნათ თავისუფალი ქვეყანა და აღვუვადოთ თავისუფალი ქართველები. ამისთვის კი პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომა უნდა მოხდეს. ბოლოსდაბოლოს უნდა იდგეს სასწაულო უფაღმა დედამიწაზე, რომელიც ერთი და ორმოცსავე ჩვენ სამებთ ვლოცულობთ“, – აცხადებს ესაძე.

მარიკა ლორთქიფანიძე: ვთვლი, რომ ორხელისუფლებიანობა უნდა გაუშვდეს და კრეზიდენტი გადაღმს



ისტორიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე სრულიად იზიარებს ქართულ საზოგადოების მოთხოვნას, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ, იზიარებს მეგორანდუმში ჩამოთვლილ დებულებებს და თვლის, რომ დღეს ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიზანს ქვეყანაში არსებული ორხელისუფლებიანობის გაუქმება წარმოადგენს, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას. „ორხელისუფლებიანობა ხელს უშლის ხალხის ნებით, მათი უმრავლესობით არჩეულ მთავრობას, რომ გაატარონ ის ღონისძიებები, რაც მათ საჭიროდ მიაჩნიათ. ქართულმა საზოგადოებამ მის მიერ არჩეულ მთავრობის ნაწილს სრული ნდობა გამოუცხადა. ორხელისუფლებიანობა დიდი უბედურებაა. ესაა ნიშნავს – ის გადააყენებს, ეს ციხეში გააგზავნის ვინმეს – ის თავის თანამდებობაზე აღადგენს. ვთვლი, რომ ორხელისუფლებიანობა აუცილებლად უნდა გაუქმდეს და პრეზიდენტი გადადგეს, სხვა გზა არ არსებობს და ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ ვუერთდები საზოგადოების მოთხოვნას და ხელს ვანერ საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის შესახებ მოთხოვნას“, – აცხადებს მარიკა ლორთქიფანიძე.

თეატრული პარტიის, პოლიტიკური პარტიის თეატრის ლიდერი: საქართველოს სტირება ის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის ბაჰაიან არ იმართება და რომელიც ქართველ ხალხს და მის ინტერესებს მოემსახურება

პოლიტიკური პარტია „თეატრის“ ლიდერის თეატრული პარტიის განცხადებით, პარტია „თეატრი“ „სახალხო კრებასთან“ ერთად უერთდება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვების კამპანიას და აცხადებს, რომ უნდა მოხდეს სააკაშვილის და მისი რეჟიმის „სახალხო გასამართლება“, სწორედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის მოტივით.

შაჰიაშვილის განცხადებით, „სახალხო კრებამ“, იმ 5-6 პარტიასთან ერთად, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობდა, ზუსტად ერთი წლის წინ, საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, მილიონი ხელმოწერის შეგროვება შესძლო. „სახალხო კრება“ შეთანხმდა, რომ თავდაპირველი ტერმინი „იმპიჩმენტი“ იურიდიული ტერმინით „უნდობლობით“ შეცვლილიყო და ეს დოკუმენტალურად დადასტურა ერთმა მილიონმა ადამიანმა ხელმოწერით.

„სახალხო კრება“ და პარტია თეატრი, ორ საკითხს აყენებენ – საერთაშორისო ექსპერტების მონეევას, რომლებიც დაადასტურებენ ან უარყოფენ სააკაშვილის მტკიცებას, რომ საქართველო აყვავდა და მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მოხდეს სააკაშვილის რეჟიმის სახალხო გასამართლება.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ბატონ მინდია უგრეხელიძის თავმჯდომარეობით დაიწყო სასამართლომ ეს პროცესი. ბატონი მინდიას თავმჯდომარეობით სასამართლომ – „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ უკვე განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკმეები, როგორცაა აფრასიძეების, გირგვლიანის,

რობაქიძის და ვაზაგაშვილის საქმეები. ამ საქმეების განხილვის დაახლოებით 6-7 საათიანი ჩანაწერები არსებობს და ისინი „სახალხო კრებას“ 18 ტომად აქვს შეკრებილი, რომელიც ნათლად ადასტურებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს გენოციდი გამოუცხადა, სასამართლო პროცესი კი ტელევიზიით უნდა გადაიყვანოს.“- აღნიშნავს პარტია „თეატრის“ ლიდერი და აცხადებს, რომ თუ ვინმეს გადადგომა ან გასამართლება უნდა მოვითხოვოთ, უნდა მოვითხოვოთ სწორედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის მოტივით.

თეატრული პარტიის განმარტებით, ცალკეული პიროვნებები საზოგადოებაში გარკვეულ იდეას წარმოადგენენ, ეს კი დაუმეგობრებელია, მთავარი რაც ახლა გვეჭირდება არის სწორი ხედვა იმის, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანაში მოვლენები. „ხალხის საკმაო რაოდენობა საუბრობს იმაზე, თუნდაც აჭარაში, რომ ვინც „ქართული ოცნებას“ ედგა მხარში და სისხლი და ოფლი დაღვარა, ისინი გვერდზე არიან მიგდებული და ვინც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გამოდიოდა და ამას ხმამაღლა აცხადებდა, ისინი მინისტრები არიან. ბატონ ბიძინა ივანიშვილს დღეს რომ სჭირდება მხარდაჭერა და გვერდში დგომა, შეიძლება ამდენი მხარდაჭერა მას პირველ ოქტომბრამდე არც სჭირდებოდა. თუ ის მართლა თავისუფალი და დემოკრატიული ადამიანია და თუ მას თავისუფალი ადამიანების საქართველო უნდა, მე ცოცხალი სხვანაირად წარმომიდგენია მისი განვითარება“, – აცხადებს შაჰიაშვილი.

„თეატრის“ ლიდერის განცხადებით, მხარდაჭერა სჭირდება „ქართული ოცნების“

იმ უნიკალურ პროგრამას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა წარმოადგინა, რადგან ეს არის საქართველოს მომავლის პროგრამა, რომელიც აქამდე არ დაწერილა. მისი განცხადებით, სწორედ ამ საკითხში გახლავთ უთანხმოება მათსა და იმ უცხოელებს შორის, რომელთაც აწყობთ, რომ საქართველოში დარჩეს ორი პოლიტიკური ძალა – „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“.

„კატეგორიულად ვემიჯნები ამ განწყობას და ვამბობ, უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია, რომ ჩამოცილდეს და გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ქართველი ხალხის გენოციდის მომწყობი და ის არ შეიძლება იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა. საზოგადოებაში უნდა მოხდეს კონსოლიდაცია იმის თაობაზეც, რომ ქვეყანაში ჯანსაღი ოპოზიციური ძალა შეიქმნას. ეს ბიძინა ივანიშვილისთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალიან კარგი იქნება.

ჩემი მთავარი კითხვა უცხოელებისადმი გახლავთ ეს – თუ აპატიებდნენ ამერიკაში ქალაქის მერს ან პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილის ან გიგი უგულავას მსგავსი ფოტოსურათები რომ გამოქვეყნებულიყო? რა თქმა უნდა, არა. ამერიკაში არ აპატიებდნენ მოსმენების თემასაც, რადგან სწორედ მოსმენებს შეენირა პრეზიდენტი ნიქსონი. და რას გვეუბნებიან უცხოელები – კი, მოსმენებიც არის, კი უგულავას აქვს გარყვნილი სურათები გადაღებული, მაგრამ თქვენ არ ხართ ის ქვეყანა, სადაც ამ პიროვნებებზე უნდა თქვათ უარი. ამერიკაში მერს და პრეზიდენტს ეს არ ევატიება, მაგრამ თქვენ ჯერ ამ დონის ქვეყანა არ ხართ. ჩემთვის ყველაზე შეურაცხყოფელია, როდესაც უცხოელები ქართული განწყობის,



ტრადიციების იგნორირებას ახდენენ“, – აცხადებს შაჰიაშვილი.

შაჰიაშვილის განცხადებით, საქართველოს სჭირდება ზნეობაზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოება, სადაც მთავარი ორიენტირია ადამიანი და არა მოქალაქე, საქართველოს სჭირდება ის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის გარედან არ იმართება და რომელიც ქართველ ხალხს და მის ინტერესებს მოემსახურება.

„როგორც ბატონმა რეზო ესაძემ ილია ჭავჭავაძის პერიფრაზი გააკეთა, საქართველო ერის ბუნებიდან უნდა იმართებოდეს, დღეს კი საქართველო ერის ბუნებიდან გამომდინარე არ იმართებოდა. ეს არის ჩვენი მოსაზრება და „სახალხო კრება“ მზად არის, შევხვდეთ, დავილაპარაკოთ, გავმთლიანდეთ, არ მივცეთ საშუალება „ნაციონალურ მოძრაობას“ ასე „იყელყელაოს“, მინდა ბიძინა ივანიშვილს ვუთხრა, რომ საქართველო, მისი მომავალი თავისუფალი ადამიანებშია და შევხედოთ, როგორ შეასრულებს ის თავის წარმოდგენილ პროგრამას. მე მინდა თავისუფალი ადამიანების ქვეყანაში ვიცხოვრო და მთავარი პრინციპი იყო ზნეობა, მორალი და ქვეყანაც სწორედ ამ პრინციპებით იმართებოდეს“, – აცხადებს შაჰიაშვილი.

მაზა ხატიაშვილი; ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე: ამ ხელმოწერებით ჩვენ ყველას ვაჩვენებთ, რომ ჩვენ, ქართული სამოქალაქო საზოგადოება მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს დამნაშავედ ვთვლით

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, სწორედ იმიტომ არის საჭირო ხელმოწერების შეგროვება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაყენების მოთხოვნით, რომ ჩვენ ყველას, მათ შორის დიპლომატიურ კორპუსსაც ნათლად დავანახოთ, რომ ქართული საზოგადოება მიხეილ სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“ დამნაშავედ თვლის მათ მათ გასამართლებას უცილობლად მიიჩნევს.

ხატიაშვილის განცხადებით, ყველასთვის ცნობილი გახლავთ ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ბიუჯეტს ახმარდა იმას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მხარდაჭერა მიეღო, სწორედ ამიტომ არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების თუ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დღეს მას მხარს უჭერენ.

„ჩვენ გვახსოვს 26 მაისის მოვლენების შემდეგ, როგორ გაჩერდა დიპლომატიური კორპუსი და განცხადება არ გააკეთა, მაგრამ როდესაც სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს საქართველოში შეურაცხყოფა მიაყენეს, ჰოლანდიის ელჩი გაიქცა და მიტინგზე დადგა, თუმცა, ჰოლანდიის საელჩოს წარმომადგენლები არ შეწუხებულან, როდესაც 26 მაისის ღამეს სააკაშვილმა ქართველი ხალხის სისხლში გაისვარა ხელი. ჩვენ გვახსოვს, როგორ აუნთო მაშინდელმა ამერიკის ელჩმა მწვანე შუქი სააკაშვილის ხელისუფლებას ამ სიბინძურის ჩასადენად. მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა მე სამი წლის წინ დავიწყე, როდესაც ევროკავშირში შევიტანე განცხადება მის

„პერსონა ნონ-გრანტად“ ცნობაზე და სამოქალაქო საზოგადოების მტრად აღიარებაზე. საქართველოში დღეს სექსუალური უმცირესობის პროპაგანდა ხდება, რაც დანაშაულია დაუშვებელია. საფრანგეთი ყველაზე ლიბერალური ქვეყანაა, თუმცა იქ ჯარიმდა სკოლის წინ სიგარეტის მოწვევაზე, არა თუ იმაზე, ბავშვებს აყურებინო, როგორ კოცნის მამაკაცი მამაკაცს, როგორც ეს 51-ე სკოლის წინ მოხდა. სამოქალაქო საზოგადოება მოითხოვს, რომ კანონი ქვეყანაში კანონობდეს, – აცხადებს ხატიაშვილი.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით, დღეს ძალიან ბევრი მცდარი ნაბიჯების გადადგმა ხდება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას წინ დახვდება, ამიტომაც სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს მკაცრი და მომთხოვნი და მოითხოვოს ყველა იმ მოსამართლეს და პროკურორის გასამართლება, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდა და რომელიც ადამიანებს იმ ციხეებში უშვებდა, სადაც ადამიანების ავტობიოგრაფია ხდებოდა.

„მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ, უნდა ნავიდნენ და გასამართლდნენ. ყველას კარგად გვახსოვს ნიურბერგის პროცესი. ეს პროცესი რომ არ ყოფილიყო, გერმანიაში სამოქალაქო საზოგადოება ვერ შეიქმნებოდა და ის მოწინავე სახელმწიფო ვერ იქნებოდა. უარყოფდგენელია არ მოხდეს გიგი უგულავას, რომლის წინააღმდეგ მინიმუმ 100 საქმე მაინც არსებობს ან ბაჩო ახალიას გასამართლება მკვლელობის ბრალდებით. მას ჯერ ჯერ კიდევ 2008 წელს, რამდენიმე ადამიანი მკვლელობაში


ადანაშაულებდა და არა იმისთვის, რომ მან ვილაცას თავში რაღაც ჩაარტყა. თუმცა, ეს უნდა გაკეთდეს საკმაოდ სამართლიანად.

მინდა ავლნიშნო, რომ იურიდიულად ძალიან სწორი ნაბიჯია ის, რომ ჩვენ სააკაშვილის გადადგომის შესახებ ხელმოწერებს ვაგროვებთ, თუმცა ხელისუფლებას უნდა მოვთხოვოთ, დაიწყოს კონსტანტინე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხიც, რადგან საჭირო იქნება უმაღლესი სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომ სააკაშვილი პარლამენტის გზით ანუ კანონიერად გადავაყენოთ“, – განაცხადა ხატიაშვილმა და აღნიშნა და მისი ხელმოწერის უკან ის 4000 ადვოკატი დგას, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან.

ზაზა ხატიაშვილის აზრით, დღეს საქართველოში სააკაშვილის რეჟიმი ისევ მძვინვარებს და სამშრობას ქმნის, ახალი ხელისუფლება კი ამას ვერაფერს უპირისპირებს, სამოქალაქო საზოგადოებამ ახალ ხელისუფლებას არ უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ შეცდომები დაუშვას და სამოქალაქო საზოგადოებას არ მოუსმინოს.

„ახალ ხელისუფლებას უნდა განუცხადოთ, რომ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოება მზად ვართ გვერდით დავუდგეთ მას ყველა ეროვნულ წამოწყებაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში მოხდეს წესრიგის დამყარება, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია იყოს წარმართველი ძალა, როგორც საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გახლდათ. აქ დამსწრე საზოგადოებას არა თანამდებობები და პარლამენტში

მოხვედრა, არამედ საქართველოს განვითარება უნდა. ცალკე თემაა დიპლომატიური კორპუსის განცხადებები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს უჭერენ მხარს. სწორედ ამისთვისაა საჭირო ამ ხელმოწერების შეგროვება, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და რომელსაც ჩვენი საზოგადოების კორიფეებმა ჩაუყარეს საფუძველი, ამ ხელმოწერებით ჩვენ ყველას, მათ შორის სააკაშვილის მხარდამჭერ დიპლომატიურ კორპუსსაც ვაჩვენებთ, რომ ჩვენ, ქართული სამოქალაქო საზოგადოება მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს დამნაშავედ ვთვლით“, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.





მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ პოეტ დომენტი ახობაძის ლექსს, რომელიც მან მერაბ ბერძენიშვილს მიუძღვნა.

ბატონი დომენტი 1987 წელს გარდაიცვალა. იგი, ალბათ, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მისი დიდებული ლექსი – გაფრთხილება – ქართველ ხალხს კომპარულ რეალობად გადაექცეოდა. ისინი კი, ვისაც დომენტი ახობაძე „კაცობრიობის ძაღლთა პირებს“ უწოდებდა, 9 წელიწადის განმავლობაში ქვეყნის სათავეში მოკალათდებოდნენ და მის მიერ ხოტბაშესხმულ იდეალებს ქუთაისის დიდების მემორიალივით გადაუზღავდნენ.

„ვიქრები დიდების მემორიალურ ძეგლთან“ – ასეთია ამ წინასწარმეტყველური ლექსის სათაური. მართლაც რომ „ფხიზლად, ფხიზლად და ფხიზლად“ ქართველო ხალხს!

ამთანაღილ იოსელიანი, სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის გამგეობის წევრი

ფიქრები დიდების მემორიალურ ძეგლთან

მერაბ ბერძენიშვილს ულამაზესი ცა იმერეთის დიდების ძეგლზე ეყრდნობა მხრებით.

მის შემოგარენს ხატავს და ერთვის მკერდმოხატული მერცხლების ხმები.

მემორიალი გვახსენებს ყველას, არ დაივიწყოთ, დრო არის ჯერაც

საოცარია, მაგრამ ასეა, ქვეყნად რაც კარგი და ძვირფასია

ადამიანის გენიის პირმშო, პატიოსანი ქვეყანა შიშობს, რომ მას გათელვას კვლავ უპირებენ

კაცობრიობის ძაღლთა პირები!

მემორიალი გვახსენებს ყველას,

არ დაივიწყოთ, დრო არის ჯერაც:

ფხიზლად, ფხიზლად და ფხიზლად!

თორემ მიაღწევს მიზანს ადამიანის მტერი;

აი, ამ ვარდებისგან, მწვერვალებისგან, მზისგან, დარჩება მარტო მტვერი!

ჯერ კიდევ გუშინ დაღვრილი სისხლი

მილიონებით ჯანმრთელი კაცის,

ინვის და ბოლავს, ბოლავს და რისხვით ეძახის, უხმობს მტრობისგან დაცვილს...

მემორიალის ყიჟინი ნაზი

კი არ გვაგონებს, თვით სულში გვიწნავს: ქვეყნად მშვენიობენ ქალი და ვაზი, ქალი, ვაზი და სამშობლო მინა!

ქვეყნად გონებას სწმენდს სიავისგან,

გულში სინათლეს ღვრის მორიდებით, –

დრო არის, შენი თავი შეიცან, ღმერთის ქმნილება, ნუ დაკნინდები!

ცა მოხატული, ცა იმერეთის ბუმბერაზ ძეგლზე ეყრდნობა მხრებით.

მის შემოგარენს ხატავს და ერთვის

ფრთამოუღლეული მერცხლების ხმები

საოცარია, მაგრამ ასეა: ქვეყნად რაც კარგი და ძვირფასია

ადამიანის გენიის პირმშო, პატიოსანი გულები შიშობს,

რომ მას მოსპობას კვლავ უპირებენ

კაცობრიობის ძაღლთა პირები.

მემორიალი გვახსენებს ყველას:

დრო არის ჯერაც, დრო არის ჯერაც!

ძახილი წმინდა, ძახილი ნაზი,

ანთებულ გულზე გვეხატოს ფიცად, რომ უკვდავია ქალი და ვაზი, დედა, შვილი და სამშობლო მინა!

დაბერჩა კი რამე სახსოვარი მამისეული?!

მე პოეტი არა ვარ, მაგრამ ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალის“ დანგრევამ რატომღაც ლექსად ამომათქმევინა ჩემი იმწამიერი პროტესტი

ჯემალ აბოიანიძე

კიდევ რამდენი წიგნი დაგვრჩა ფრფლად საქცევი, კიდევ რამდენი ძეგლი დაგვრჩა დაუნგრეველი,

კიდევ რამდენჯერ დაგვრჩა მუშტი გულში საცემი, დაგვრჩა კი რამე სახსოვარი მამისეული?!

როგორ მოვიდა ეს დროება გადარეული შავი სუდარით ნათელ ხსოვნას შემოხვეული.

კაცის სიცოცხლე სულ ხუთ თეთრად დაფასებულ!

ქართველი ქალი ჭრელ ბიკინად გადაქცეული!

როგორ გაუძლებს ერთ დროს გამირის – ქართველის გული,

როგორ იცლება მეგობრისგან ჩვენი მამული!

სად არის ძეგლი – გამირთა ხსოვნის – მაღლაკის ველზე?..

დრო დადგა – მერებს ბუღბუღები ადგებათ ველზე.

ღმერთო გეშველე, დაილოცოს შენი განგება,

შვილს შესძლება მამის ხსოვნის გადაშენება,

შეგინდე, ღმერთო, დედა-შვილის სისხლის დანახვევაც,

ცოდვიან ველზე ცრემლის სახლი თუ აშენდება!

როცა ვიკითხე, ძეგლს რად ანგრევთ, რა დააშავა? ეს ბოროტების ძეგლიაო, ეშმის ძირია, – აი, პასუხი ნაშეერთა, ვინც წიწამურთან ვერაგულად მოკლა ილია.

მნახველს, მეობა ჩემი წინდაცვეთილ ბუკნად მერვენა. წადით, მოძებნეთ ქერჩის სრუტე, კატაკომბებიც, სადაც გამირულად დაიღუპნენ ჩვენი მამები,

ის ბალიც ნახეთ, უცხო კაცმა რომ თავის ნებით ყოველ ქართველ გამირს რომ დაურგო ხე ალუბლების.

დღეს გარდასულან, შორს წასულან ის მოხუცები...

ვისი საფლავანი ქართველების გვერდი გვერდშია.

ღმერთო, მაღალო, გაანათლე მათი სულები,

ქართველი კაცი საუკუნოდ იმათ ვალშია. თქვენ კი ქართული უკვდავების საყდრის ნაწილი

და მზეგაბუკი განბანილი ღვთისმშობლის მაღლში –

იმის მაგივრად, რომ დაგვევით დროსა და ხანში,

ააფეთქეთ და ამოსვარეთ სისხლიან ლაფში.

ზედ მიაყოლეთ სოფლად მდგარი ობლისკებიც,

ომში დაღუპულთ რომ აუგეს ჭირისუფლებმა.

ქართველი დედის გაჩენილი თქვენ არ იქნებით,

გველის წიწილი თუ დაბადეს ისევ გველებმა.

თქვენ ბავშვთან ერთად დედაც მოკალით, ძეგლივით, ოჯახს დედაბოძი გამოაცალეთ.

განგება დაგსჯით, რადგან სინდისი ხსოვნის მოძულე ჩიტბატონა კაცს ანაცვალეთ.

აწი, რაც გინდათ, იგი ქენით, იგი აკეთეთ, ნაღრმობი ტენით ბაბილონიც რომ ააშენოთ.


ვინც მშობლის საფლავს თხრის და აგინებს, უფაღს ვთხოვ, ვაჟას სამშობლოდან გადააშენოს. იქ ცხოვრობს ხალხი, შემოქმედი მშენიერების და არ სჩვევია გარდასულთა ბილწი მტრობა, კვლავ ვიჯერებ, არა მჯერა „მზეგაბუკს“ კლაღვდეს, ქუთაისური სიყვარული, ზნე და მეობა..

2012 წლის 14 დეკემბერს გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ სამეცნიერო საბჭოს სხდომა. საზოგადოებამ მოიწვია ცნობილი ქართველი მეცნიერ-იურისტები.

სხდომას ესწრებოდნენ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ ჩხეიძე, საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ ანდღულაძე, ეკონომისტი და პოლიტოლოგი თეიმურაზ შაშიაშვილი.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა საქართველოს კონსტიტუციის პრობლემატური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კონსტიტუციის მე-4 თავთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე. ცხარე კამათი გაიმართა კონსტიტუციის 70-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტითაც „საქართველის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით“. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მეორე ნაწილით წინა პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადების დროიდან და მთავრდება ხუთი წლის შემდეგ იმავე რიცხვში. ე. ი. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხუთწლიანი კალენდარული ვადა წყდება 2008 წლის 20 იანვარს. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9-ე პუნქტით „პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.“ სამეცნიერო საბჭომ ყურადღება გაამახვილა 70-ე მუხლის ზემოაღნიშნულ ორ პუნქტს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, ანუ საკითხზე: საქართველოს მოსახლეობის ამომრჩეველებმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიანიჭეს საპრეზიდენტო უფლებამოსილება ხუთი წლის ვადით, ანუ 2013 წლის 20 იანვრამდე, გარდა ამომრჩეველებისა საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტისათვის უფლებამოსილების ვადის მინიჭების უფლება არავის არა აქვს, მათ შორის არც საქართველოს პარლამენტს. რადგანაც ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის ვადის ამოწურვიდან მეცხრე თვეს, ხომ არ შედის საქართველო საკონსტიტუციო ვაკუუმში, ჩიხში, საპრეზიდენტო უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 20 იანვრიდან აქვს თუ არა უფლება მიხეილ სააკაშვილს, როგორც პრეზიდენტს, გააგრძელოს პრეზიდენტობის უფლებამოსილება. რომელიც მისთვის საქართველოს სახელმწიფო (საპრეზიდენტო) ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ – საქართველოს მოსახლეობას (ხალხს) არ მიუნიჭებია, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-5-ე მუხლის მე-3-ე ნაწილით: „არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“. ამასთან კონსტიტუციის 69-ე მუხლით საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობაში. თუკი მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის 20 იანვრიდან გააგრძელებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, რამდენად ჩაითვლება მის მიერ ხელმოწერილი აქტები საშინაო და საგარეო ურთიერთობებში კანონიერი ძალმოსილების მქონე დოკუმენტებად.

სამეცნიერო საბჭომ მიიღო სარეკომენდაციო მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი, საქართველოს მთავრობისადმი და საქართველოს სახალხო დამცველისადმი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ საკითხზე ზემოაღნიშნულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა გაუგზავნოს შეკითხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მის შესაბამის სტრუქტურებს და ვენეციის კომისიას რათა საქართველო ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით არ აღმოჩნდეს მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკური და კულტურული სივრცის მიღმა.



მამია ტარიელი (სიკინჯალაშვილი):

ჩვენ ქართული საზოგადოება იმიტომ ვითხოვთ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას, რომ უფრო მეტი ზიანი არ მოუტანოს საქართველოს. მისმა პრეზიდენტობამ უკვე ბევრი ზიანი მოიტანა, როგორც მორალური, ასევე ზნეობრივი, აღარ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ციხეები სავსეა უამრავი უდანაშაულო პატიმრებით. რაც მალე წავა სააკაშვილი და გადადგება საქართველოს პრეზიდენტობიდან, მისთვისაც უკეთესია და ქვეყნისთვისაც.

ჯანსუღ ჩარკვიანი

მიხეილ სააკაშვილის გადადგომას მე არავითარ შემთხვევაში არ მოვითხოვდი, თავად რომ ჰქონოდა იმის ვაჟკაცობა, რომ გადამდგარიყო. როდესაც შენ საქართველოს მოსახლეობის 90%-ი აღარ გემხრობა, თავად უნდა გადადგე, ქვეყანამ მოითხოვა და უკვე მილიონი ხელმოწერა შეგროვდა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, რა თქმა უნდა, როგორც მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, ახლაც ჩემი ხალხის გვერდით ვდგავარ და მათ მოთხოვნას ვიზიარებ.



რაც შეეხება იმას, უჭერს თუ არა დასავლეთი მხარს მიხეილ სააკაშვილს მე ეს არ ვიცი, მაგრამ მე ერთი რამის მომხრე ვარ, ჩვენ ყველასთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, როგორც ამას ჩემთვის ძვირფასი პოეტი აკაკი წერეთელი ბრძანებდა, შუა კაცი ვარ უბრალო, არც მინისა ვარ არც ცისა, გარემოების საყვირი ვარ, ამბობდა წერეთელი. ერი გარემოების საყვირი უნდა იყოს. თუ ამერიკა მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს, ძალიან გლახად ყოფილა მისი საქმე და არც ჩვენი საქმე ყოფილა მაშინ კარგად. არ ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს იმის უფლება, რომ აიღო და ხალხის დაუკითხავად საპრეზიდენტო ვადა გაიხანგრძლივა, თუმცა ის არც არასდროს ეკითხებოდა ხალხს რაიმეს, თვითონ წყვიტავდა ყველაფერს, ახლა მას ქართველი ხალხი განუდგა და პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას მთელი ერი ითხოვს.

თამარ ჯოხონელიძე

მიხეილ სააკაშვილმა დაამტკიცა, რომ ის ვერ ასრულებს იმ მოვალეობას, რასაც ქვეყნის წინაშე პრეზიდენტის მოვალეობა ჰქვია. ის წლების განმავლობაში იგნორირებას უკეთებდა ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს, მოახერხა ის, რომ ქართული საზოგადოება, ხალხი ერთმანეთს გადაემტერა. ვერც საშინაო პოლიტიკა და ვერც საგარეო პოლიტიკა, არამცთუ არ წარმართა შესაბამისად, ნელ-ნელა უკან მივიდვართ. მისი პრეზიდენტობა ძალიან ბევრ უსამართლობასთანაა დაკავშირებული, საბოლოო ჯამში, დღეისთვის რიგითი ქართველი მოქალაქე უმძიმეს მდგომარეობაში გახლავთ. სააკაშვილმა ბევრი საქმე უარესობისკენ წაიყვანა.



დღეს, როდესაც ქვეყანაში ქვეყნის ხელისუფლებაში ახალი გუნდია მოსული, რომელიც ნელ-ნელა იწყებს საქმის კეთებას, მას უნდა მიეცეს იმისი საშუალება, რომ ქვეყნის სათავეში იყოს. ამიტომ ვფიქრობ, მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან უნდა გადადგეს.

პრეზიდენტი, რომელიც ებრძვის ქართულ ცნობიერებას, ანგრევს ქართული სულის ძეგლებს, მინაზე ფორთხავს, როცა ჯარს გამხნეება სჭირდება, რომელმაც 18 წლის განმავლობაში, ჯერ როგორც მოქ. კავშირის შემდგომ ნაც მოძრაობის ლიდერმა და პრეზიდენტმა ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის ელემენტარული სასიცოცხლო პირობები, ოპოზიციის ჩაუდგა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანს > უნდა გადადგეს!



ჯემალ ბაღაშვილი

მუხიკოსი: ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობამ ასე მკვეთრად გამოხატა თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობისადმი, გაემიჯნა მისი მმართველობის სამარცხვინო სტილს, რაც თვალნათლივ დადასტურდა არჩევნებზე, ვფიქრობ, რომ მას მორალური უფლება არ გააჩნია ითვლებოდას ქვეყნის, თუნდაც ფორმალურ მმართველადაც კი.

მიხეილ სააკაშვილისგან ძალიან სწორი და ობიექტური ნაბიჯი იქნებოდა გადადგომა, რადგან ქართველ ხალხს ძირეული ცვლილებები სჭირდება, რის საშუალებასაც ორხელისუფლებიანობა, რაღა თქმა უნდა, არ იძლევა. სააკაშვილის გადადგომით ავტომატურად გამოირიცხებოდა ყოველგვარი საბოტაჟის და ხელის შეშლის მცდელობა და ქვეყნა უფრო სწრაფად წავიდოდა წინ.

ქეთი დოლიძე

მიხეილ სააკაშვილი სრულიად კარგავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნდობას, რჩება მარტო იმ ადამიანების იმედად, რომელიც მის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ და ასრულებენ, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი კეთილდღეობისთვის, მგონია, რომ ყოფილი ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ინარჩუნებდა ძალაუფლებას და ერთობას. მიმანია შეურაცხყოფად, რომ დღეს საპარლამენტო უმცირესობას და ოპოზიციას "ნაციონალური მოძრაობა" წარმოადგენს. ჩემი ნება რომ იყოს, მე "ნაციონალურ მოძრაობას", როგორც დამნაშავე პარტიას, აგკრძალავდი. პრეზიდენტს იმდენი ჰკუცაც არ ეყო, სინდისი და ნამუსი რომ არ აქვს, ეს დიდხანია ვიცი, არ განეცხადებინა, რომ ის "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-პიროვნულ ლიდერად რჩება. ეს ნიშნავს, რომ ის "ნაციონალების" პრეზიდენტად რჩება და არა ქართველი ხალხის.



პრეზიდენტმა, რომელმაც თვითონ თქვა ქვეყნის და საკუთარი ხალხის პრეზიდენტობაზე უარი, ის რატომ უნდა იყოს ან ჩემი ან ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი? მიხეილ სააკაშვილი რჩება "ნაციონალების პრეზიდენტად", სწორედ ამიტომ მიმანია, რომ სააკაშვილი უნდა გადადგეს.

მანუჩარ მაჩაიძე:

ბოლო ოცი წელიწადია საქართველოს მართავს ქსენოფობიური პარტიები მოქალაქეთა კავშირის და განსაკუთრებით, ნაციონალური მოძრაობის სახით.

უკვე 9 წელიწადია ენ ბატონი პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი და დღემდე არ იშლის ქსენოფობიური და ქართველოფობიური განცხადებების გაკეთებას, მას არ მოსწონს ქართველი ერი და ახალი ერის შექმნა სურს. ვფიქრობ, რომ იგი არ იმსახურებს იმ თანამდებობას, რაც მას უკავია, უფრო სწორად მიიტაცა, ამიტომ, ვთვლი, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უნდა გადადგეს.



გურამ ფირცხალავა:

არ შეიძლება ზურაბ ჟვანიას, გურამ შარაძის, მაიორ შავაძის, კრიალაშვილთან ერთად დახვრეტილი, ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების დამხვრეტს პრეზიდენტი ერქვას.

მსახიობი გურამ ფირცხალავა უერთდება საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას და აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები უღირსობით ებრძოდნენ ღირსებას, უსინდისობით სინდისიერებას, უნიჭობით ნიჭიერებას, მათ ქართველ ხალხს ბრძოლის ფინი, ქართველ გლეხს კი მიწასთან ურთიერთობის სურვილი დაუკარგეს. მსახიობი მიჩინეცს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი არა თუ უნდა გადადგეს, არამედ უჩინრად გაუჩინარდეს, „ნაციონალურ მოძრაობის“ ბაცილებს კი დეზინფექცია ჩაუტარდეს.

საქართველოში აქამდე იყო. თუმცა, „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, ბაცილებია დარჩენილი, რომელთაც დეზინფექცია სჭირდება. ჩვენ შეცდომა დაგუშვით მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტად ეს უსახო ადამიანი ავირჩიეთ, თუმცა, ამბობენ, ამაში ახალგაზრდა ამერიკა და ბებერი ევროპა იყო ჩარეული. ვაი, იმ ამერიკას და ევროპას, თუ იცოდნენ ვინ იყო ეს ადამიანი და მას მაინც დემოკრატს უწოდებდნენ.

არ შეიძლება ზურაბ ჟვანიას, გურამ შარაძის, მაიორ შავაძის, კრიალაშვილთან ერთად დახვრეტილი, ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების დამხვრეტს და საღიზმის დამკვიდრებელს, საქართველოს პრეზიდენტი ერქვას, თავს ვაძლევ უფლებას და სიამაყით ვანერ ხელს, რომ ეს ადამიანი, სააკაშვილი არა თუ გადადგეს, არამედ უჩინრად გაუჩინარდეს, - აცხადებს ფირცხალავა.





მიხეილ ანდგულაძე

მთელი ჩემი არსებით, სულით და ხორციით, მთელი ჩემი შეგნებით ვუერთდები საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას და მიმანია, რომ ეს ძალიან დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოს თავისი ცხოვრების ამ ეტაპზე. ბუნებრივია, ხელმოწერები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, არ გახლავთ სამართლებრივი დოკუმენტი, თუმცა ეს გახლავთ საშუალება იმის, რომ ერთგვარად მოხდეს ბენიფიკაცია იმის, არის თუ არა ხალხის ნება გამოხატული ამ საკითხთან მიმართებაში.

ლიმა ჯაიანი

ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა, მე ამას ვერაფრისდებოდა ვერ შევუტივდებოდი, 37-იანი წლები რომ ყოფილიყო, პირველს ალბათ მე დამხვრეტდნენ, მაგრამ არანაკლები იყო ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა. ვიცოდი, ციხეებში რაც ხდებოდა, მაგრამ მოულოდნელი იყო, როდესაც ეს ყველაფერი ჩემი თვალთ ვიხილე ეკრანზე, ესაა ტრაგედია ჩემთვის. თუმცა, ტრაგედიები ბევრი იყო ჩვენს ქვეყანაში. "ნაციონალური მოძრაობა", პრეზიდენტი და მისი მინისტრები ისე იქცოდნენ, "მე ვარ და ჩემი ნაბილი", არადა ამ ახალგაზრდას ბიჭებს განათლება ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში ჰქონდათ მიღებული. ბუღას უთქვამს ადამიანისთვის, ღმერთი შენ ხარო, ყოფილ ხელისუფლებას კი უბრალო ადამიანები არ სჭირდებოდათ, მიხეილ სააკაშვილისგან და გიორგი ბარამიძისგან ამ პრინციპს ვერ მოითხოვდი, მაგრამ ადამიანის ასე ჩაწიხვლა, რასაც ყოფილი მთავრობა 21-ე საუკუნეში აკეთებდა, ყოველად წარმოუდგენელია, სწორედ ამიტომ ვითხოვთ პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას.



ბია შარვაშიაძე

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, საქართველოს ვეტერანთა კავშირის "საქართველოს ლეგიონის" თავმჯდომარე: საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას საზოგადოების და იმ ადამიანების პატივისცემის გამო შევუერთდი, რომელთა ინიციატივითაც სავსებით ლოგიკური მოთხოვნა გაჩნდა, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტი არც ადრე არ ითვალისწინებდა ხალხის ნებას და არც დღეს გაითავალისწინებს, ამიტომ ზედმეტი კომენტარისგან თავს შევიკავებ.



თ ა ნ ა მ მ მ ა მ უ ლ ე ნ ო !

თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტები ხელისუფლებისადმი უნდობლობის გამოცხადების თაობაზე. ეს არის პოლიტიკურ-სამართლებრივი დასაბუთება ხალხის ლეგიტიმური უფლებისა, უნდობლობა გამოცხადოს უმადლეს ხელისუფალს და იგი თანამდებობიდან გადააყენოს. ვფიქრობთ, ხალხის მიერ პრეზიდენტის გადაყენების უფლებამოსილების თავის თავზე აღება, ერთადერთი სწორი და მშვიდობიანი გამოსავალია შექმნილ ვითარებაში, როდესაც ამის მწვავე საჭიროების მიუხედავად (ხალხის დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად), ხელისუფლება უარზეა, თვითონ გადადგეს. ამ დოკუმენტის დანიშნულებაა, პირველი – ნათელი გახადოს, რომ ხელისუფლების შეცვლა ხალხის, და მით უმეტეს, ცალკეული პოლიტიკური ძალების უპასუხისმგებლო აზიზება კი არ არის, არამედ, ობიექტურად არსებული უკიდურესი აუცილებლობა და, ამასთანავე სავსებით გამართლებული, როგორც პოლიტიკურად, ასევე ზნეობრივად და სამართლებრივად. მეორე – ეს არის ხალხის მიერ ცივილიზებული ფორმით საქვეყნო გამოხატვა და დადასტურება თავისი შეუვარი ნებისა, რომელიც ყველას – გარეშესა თუ შინაურს – „აიძულებს“, სათანადო პატივი მიაგონ და ანგარიში გაუწიონ ქართველ ხალხს, როგორც უძველესი კულტურის ერს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მიტინგებთან, მანიფესტაციებთან და სხვა საპროტესტო აქციებთან ერთად, ამგვარი დოკუმენტის არსებობა, რომელიც ორგანულად არის თავმოყრილი და სათანადოდ გაფორმებული ხელისუფლების შეცვლის საფუძვლები, ხალხის ნება და შესაბამისი გადაწყვეტილება, უთუოდ აუცილებელია; იგი საზოგადოებრივ პროტესტს შემატებს შინაგან ძალას, სოლიდურობასა და ღირსებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქონის იმ დიდი საერთაშორისო სიახლის ფონზე, რასაც „ხალხის სასამართლო“, ანუ „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ – ნარმოადგენს და რომ მას სათავეში უდგას ევროპაში აღიარებული სამართლის დოქტორი, ბატონი მინდია უგრეხელიძე... პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცესის დაწყება მით უფრო მნიშვნელოვანია დღეს, როცა ხელისუფლება ხალხს და ქვეყანას თავს ახვევს „ნაციონალურ“ კონსტიტუციას. ჩვენი სურვილია, ნარმოადგენილ დოკუმენტებს გაეცნოს საქართველოს ყველა მოქალაქე, ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანება. მასში შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები საერთო შეხედულებებით. თუ გაზიარებული იქნება მოქმედების ასეთი გზა, ჩვენი სურვილია, გარკვეული პერიოდის შემდგომ დაინფოს

უნდობლობის პროცესი რეალურად, ანუ ხალხის მიერ თავისი სამართლიანი ზრახვების საქვეყნო გაცხადება. სწორედ ამ მიზნით არის მოწვეული 22 სექტემბრის ნარმოადგენლობითი კონფერენცია საზოგადო მოღვაწეების, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის მონაწილეობით. ჩვენ გულწრფელად და მომავლის დიდი იმედით მივმართეთ პოლიტიკურ პარტიებს, რომ მიუხედავად პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობისა, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებისა – შევიკრიბოთ და ერთად დავიწყეთ ის, რისი დანყების აუცილებლობაზე ცალ-ცალკე ვეველანი ვსაუბრობთ! ჩვენ, ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით და კონფერენციის მონაწილეობით ამოწურულად ვთვლით ჩვენს მისიას და ღრმად გვნამს, რომ შემდგომი მოქმედების პროგრამას დაამტკიცებს 22 სექტემბრის ნარმოადგენლობითი კონფერენცია. დაე, აღსრულდეს ხალხის ნება! საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის – პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადების დამფუძნებელი კონფერენციის მოწვევის საორგანიზაციო ჯგუფი.

ნაციონალური პანდალიზმი

მოგვალს

ხელოვნებას არ აქვს საზღვარი...

სისხლიან ნანგრევებზე არ აშენებენ...

... არც ბოროტებას აქვს საზღვარი!

დიდება უფალს, რომელმაც მომცა მხნეობა, ძალა და თმენა ჭირისა. მე ვარ ამაყი შვილი ჩემი ქვეყნისა – საქართველოსი. შემცდარია ყველა, ვინც ჩემი ღირსების შელახვას ძეგლების ნგრევით ფიქრობს. მათ ისიც არ იციან, რომ ამით მე კი არა, საქართველოს მტრობენ.

ხელისუფლებამ მემორიალი დაანგრია. ხელისუფლებამ ჩაიდინა გაუგონარი ბოროტება. ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა, რადგან წარმოჩინდა მისი სიბეცე და ქვის ხანის აზროვნება.

მათ არც კი იციან, რა დაამტვრევს. მათ არც კი იციან ამ ძეგლს – მემორიალს რა მხატვრული შეფასება აქვს და რა რეზონანსი. მათ არც კი იციან, რომ საკუთარ შვილებს ძალადობა და სისასტიკე შთააგონეს.

მერაბ ბერძენიშვილი
2009 წლის დეკემბერი

ღირსების უღბოიანობა

ანუ რა არ გადაწყვიტა მიხეილ სააკაშვილმა

ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისათვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, შეუქმნას მოქალაქეებს ადამიანური არსებობის პირობები. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ (ან არ) აკეთებს, საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ. "ღირსების უღბოიანობაში" ჩამოყალიბებული საკითხები არის უპირველესად მოსაგვარებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე და გადაუდებლად გადასაწყვეტი:

1. პენსია;
2. მინიმალური ხელფასი;
3. ლტოლვილთა შემწეობა;
4. უმუშევართა შემწეობა;
5. სტიპენდია

გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმი განისაზღვროს დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მსოფლიოში მიღებული პრინციპების საფუძველზე;

2. დადგინდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დანახვებებში გასაცემი მაქსიმალური ხელფასი არ შეიძლება იყოს მინიმალურზე (მათ შორის პენსიაზე) 20-ჯერ მეტი;
3. მოხდეს პოლიტიკტიმრების უპირობო განთავისუფლება;
4. სახელმწიფო ბიუჯეტის აუცილებელ მოთხოვნებზე განისაზღვროს: განათლების და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტული დაფინანსება.

სტუდენტის მიერ სწავლისათვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სწავლის ღირებულების 10%-ს.

უზრუნველყოფილი იქნას საბავშვო ბაღების

სრული სახელმწიფო დაფინანსება კონტინგენტის ლიმიტირების გარეშე.

მოსახლეობის სრული და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობისთვის საქართველოს ბიუჯეტის მინიმუმ 10%-ის გამოყოფა.

მცირე ბიზნესისა და დასაქმების პროგრამებისათვის საქართველოს ბიუჯეტის 10% -ის გამოყოფა

5. აღიარებული იქნას საკუთრების ხელშეუხებლობა. მოხდეს ნართმეული ქონების უპირობოდ დაბრუნება.
6. საზოგადოებრივი ტელევიზია დაუბრუნდეს საზოგადოებას, ტელეკომპანია "იმედი" – მის ნამდვილ მესპიტროსს.
7. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ლიცენზიების გაცემა და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია
8. ყოველთვიურად გამოქვეყნდეს ყველა დონის (სახელმწიფო, მხარე, ქალაქი, რაიონი) ბიუჯეტში შესული თანხების მოცულობა, წყაროები და სრული ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.
9. ექსპერტთა მონაწილეობით (პარტიტულ პრინციპებზე) შესწავლილი იქნას: პურზე, შაქარზე, საერთოდ პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, მედიკამენტებზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო მომსახურებაზე, სანაგზე, გაზზე, ელექტროენერჯიაზე დანახვების ფასების საფუძვლიანობა. (ზედაპირული ანალიზითაც ჩანს, რომ ზრდა ხელოვნურია და შეიძლება ფასების განახევრება).
10. გაანალიზდეს (ოპოზიციის მონაწილეობით) კომერციულ ბანკებსა და მოსახლეობას შორის

წარმოქმნილი პრობლემები და მოხდეს მათი დარეგულირება სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

11. გაანალიზდეს საბანკო სესხების არსებული საკრედიტო განაკვეთები, ზრდის რეალური ფაქტორები. სახელმწიფომ ვერაპული გამოცდილებით უზრუნველყოს იაფი კრედიტის პრობლემის გადაწყვეტა.
12. გამოქვეყნდეს ყოფილი პრემიერ მინისტრის ზურაბ ჟვინიას სიკვდილის გამოძიების შედეგები.
13. შეიქმნას (პარტიტულ პრინციპებზე) გახმაურებულ "ქუჩის მკვლელობათა" საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია.
14. თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული და მიცემული პასუხისგებაში ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც დაკავშირებულია ქუჩის მკვლელობებთან.
15. თანამდებობიდან იქნას გადაყენებული ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა ეკლესიების ნგრევასა და მრევლის დარბევასში(მიუხედავად მათი კონფესიური კუთვნილებისა).
16. გაიხსნას და საჯარო გახდეს 2003 წლის შემდგომ დაფუძნებული სახელისუფლებო ფონდები, მათ შორის: პრეზიდენტისა, პრემიერ-მინისტრისა, მინისტრებისა, გუბერნატორებისა, მერებისა და გამგებლებისა.
17. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერებული იქნას 2004 წლის დასაწყისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მოქმედება.
18. გამოქვეყნდეს სუპრის აგენტების სიები.
19. საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მიხედვით გამოქვეყნდეს სიები იმ ობიექტებისა, რომელთა კეთილმწყობისათვის დიხარჯა 50 000

ლარზე მეტი (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში).

20. გამოქვეყნდეს, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებზე გაცემული ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო თანხების მოცულობა (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში).
21. გამოქვეყნდეს სახელმწიფო დანახვებების შეკეთების, კეთილმოწყობის, სატელეფონო, სატრანსპორტო მომსახურების თანხების მოცულობები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.
22. გამოქვეყნდეს 1992 წლიდან მიღებული უცხოური დახმარებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.
23. გაანალიზდეს მენარმეთა – იურიდიული და ფიზიკურ პირთა მიერ სასამართლო ორგანოებში შეტანილი საჩივრებზე გამოტანილი განჩინებები და შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში.
24. ხელისუფლების, ოპოზიციის, პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია, რომელიც მოაწყობს შეხვედრებს უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეებთან მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით და შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებებთან კავშირში იბრძოლებს მათთვის მინიმუმ იმავე პირობების შექმნისთვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში აქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს.
25. პრეზიდენტმა შეასრულოს მისი წინასაარჩევნო დაპირება პენსიების სტაქსისა და დამსახურების მიხედვით განსაზღვრის თაობაზე და აღადგინოს ყველა ის შეღავათი, რომლებიც გაპრეზიდენტების შემდგომ გააუქმა და ამის თაობაზე არ ჰქონია გამოცხადებული წინასაარჩევნო პერიოდში.

<p>რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქცია პასუხს არ ატებს ავტორთა მოსაზრებებზე, ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>ჩემი პირადი მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №34 საქმ. № ტელ. 577 41 42 41 294 55 42</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანი სარედაქციო საბჭო: რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, მიხეილ ანდლუაძე, ანდრეი იოსელიანი, ქეთი ყველაშვილი, ფარინანდ ლორთქიფანიძე. ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოქრიანი გაზეთის მენეჯერი: იოსელიანი ანდლუაძე</p>	<p>გაზეთი "ერთსულოვნებასა საზოგადოების უფლებებისათვის" გვებგვერდი – WWW.ersauffe.ge დაბეჭდილია შპს "რეი ლაითი"-ს სტამბაში</p>
---	--	---	--